



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დგებუაძე მაია ამბროსის ასული

დგებუაძე მაია ამბროსის ასული (დ. 10. XI. 1954, ხობი), მორფოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1997). 1977 დაამთავრა თბილისის სახელმწ. სამედიცინის სამკურნ. ფაკ-ტი; 1978-იდან მუშაობდა ამავე ინ-ტის ადამიანის ნორმალური ანატ. კათედრაზე (შემდგომში დეპარტამენტი). 2006-იდან ამავე დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორია. დ-ის სამეცნ. შრომები ძირითადად ეხება სხვადასხვა ორგანოების ფუნქციური მორფოლოგიის აქტუალურ საკითხებს. დ. მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 2 მონოგრაფიის, ავტორია. არის ინტეგრაციული ანთროპოლოგიის საერთაშ. აკადემიის წევრი (1998), აგრეთვე საქართვე. ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა ასოციაციის წევრი (1978-იდან), 2006-იდან კი – გამგეობის წევრი; 2000-იდან – მორფოლოგთა საერთაშ. ასოციაციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

თხზ.: თირკმლის ორგანოს შიდასისხლძარღვთა კალაპოტის ფუნქციური მორფოლოგიის თავისებურებანი მრავლობითი არტერიებით მისი სისხლმომარაგებისას, თბ., 1995; სქესის გავლენა ინტაქტური თირკმლის მორფოლოგიურ სურათზე სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში, თბ., 1996.
